შემენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგებულის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულების ან წმინდა სარეალიზაციო ღირებულებიდან უმცირესით. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს

მარაგების შემენისა და მიმდინარე ადგილას გადატანისა და არსებულ მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მარაგების საპროგნოზო გასაყიდ ფასს, რომელსაც გამოკლებული აქვს მათი დასრულებისათვის საჭირო გაყიდვის ხარჯები.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- სესხები და მოთხოვნები;
- რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები;

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიას არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შედის ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში, კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამიზნული და მოიცავს კომპანიის სტრატეგიულ ინვესტიციებს არაშვილობილ საწარმოებში, ასოციაციებს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში, ასევე კორპორაციულ ობლიგაციებში. ისინი შეფასებულია რეალური ღირებულებით, ხოლო ცვლილებები რეალურ ღირებულებაში ჩვეულებრივ აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება გასაყიდად არსებულ რეზერვში.

თუ არსებობს გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი შემცირება (რაც გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას წარმოადგენს), გაუფასურების მთლიანი ღირებულება, სხვა სრულ შემოსავალში უკვე აღიარებული ნებისმიერი ოდენობის ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალში.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების შესყიდვები და გაყიდვები აღიარდება შეძენის თარიღისათვის, ვაჭრობისა და შესყიდვის თარიღებს შორის. რეალური ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება გასაყიდად გამიზნული აქტივების რეზერვებში. გაყიდვისას სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულაციური შემოსავალი ან ზარალი რეკლასიფიცირებულია გასაყიდად არსებული რეზერვებიდან მოგება-ზარალში. კომპანიას არ აქვს აქტივები კლასიფიცირებული, როგორც გასაყიდად გამიზნული.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა.

სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთ ხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე, ფულს საბანკო ანგარიშზე, და ფულს გზაში.

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და დებიტორული დავალიანებისგან.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავიდან აღირიცხება სამართლიან ღირებულებას მინუს ტრანზაქციის ხარჯები. სამართლიანი ღირებულება დგინდება საბაზრო განაკვეთით მსგავს ინსტრუმენტზე. პირველადი აღიარების შემდეგ, ნასესხები სახსრები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, სადაც ყველა სხვაობა თავდაპირველსა და ახლანდელ ღირებულებას შორის აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალის უწყისში საპროცენტო ხარჯად.

ისეთი აქტივების შესყიდვასთან, მშენებლობასთან ან წარმოებასთან პირდაპირ დაკავშირებული სესხის აღების ხარჯები, რომელთა გამოყენებისათვის ან გასაყიდად გამზადებას (კვალიფიცირებული აქტივები) დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება როგორც ამ აქტივების ხარჯების ნაწილი.

კაპიტალიზაციის დაწყების დღედ ითვლება დღე, როცა (ა) კომპანია გაიღებს ხარჯებს კვალიფიციურ აქტივზე; (ბ) კომპანია მიიღებს ნასესხები სახსრების ხარჯებს; და (გ) კომპანია განახორციელებს იმ საქმიანობას, რომელიც აუცილებელია აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ მომზადებისთვის.

ნასესხები სახსრების კაპიტალიზაცია გრძელდება იმ დღემდე, როდესაც აქტივები არსებითად მზადაა დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ.

კომპანია ახორციელებს იმ ნასესხები სახსრების კაპიტალიზაციას, რომელთა თავიდან აცილებაც შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კომპანია კვალიფიციურ აქტივებზე კაპიტალურ დანახარჯებს არ გასწევდა. კაპიტალური ნასესხები სახსრების გაანგარიშება ხორციელდება კომპანიის საშუალო დაფინანსების ხარჯით (საშუალო შეწონილი საპროცენტო ხარჯი გამოიყენება სათანადო აქტივებზე დანახარჯების მიმართ) გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური სახსრების სესხად აღება ხდება კვალიფიციური აქტივის მიღების მიზნით. როდესაც ეს მოხდება, კაპიტალიზირდება ნასესხები სახსრების ფაქტობრივად გაღებული ხარჯები, რომლებიდანაც გამოქვითულია ამ ნასესხები სახსრების დროებითი ინვესტიციიდან მიღებული საინვესტიციო შემოსავალი.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსი საქონელისთვის ან მომსახურებისთვის სავარაუდოდ მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შემენისთვის წინასწარ გადახდა გადაეცემა აქტივის საბალანსო ღირებულებას, მას შემდეგ, რაც კომპანიამ კონტროლი მოიპოვა აქტივზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება ხდება. თუ არსებობს იმის მოლოდინი, რომ წინასწარ გადახდილი საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსი ღირებულება შემცირდება და შესაბამისი თანხა გატარდება როგორც გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალის უწყისში.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში, რადგან ეს არის ის თანხა, რომელიც შემოტანილი იყო კომპანიის მფლობელის მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც ფინანსურ ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი დროისა და ოდენობის. ისინი დაირიცხება როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულიდან გამოწვეული, და სავარაუდოა რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ დაიფაროს ვალდებულება და საიმედო შეფასების გაკეთებაც შესაძლებელია. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დისკონტირების გზით, სადაც გამოყენებულია დაბეგვრამდე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ბაზრის შეფასებას ფულის დროით ღირებულებაზე და ასევე იმ რისკებს, რაც დაკავშირებულია მასთან.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაითვლება ფასდათმობები.

შემოსავლების გენერირება ხდება საკონსულტაციო მომსახურებებიდან, რომელთა აღიარება ხორციელდება ყოველთვიური ინვოისების მიხედვით რაც წარმოადგენს ხელშეკრულებების განუყოფელ ნაწილს და განსაზღვრავს შესრულების ეტაპებს როგორც უნდა იყოს წარდგენილი. შემოსავალი ნაჩვენებია დღგ-ისა და ფასდაკლებების გარეშე.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დაბალანდება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია ხელმძღვანელობის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ ვითარებაში მიიჩნევა ლოგიკურად.

შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე იყენებს განსჯებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მოიცავს:

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადის განსაზღვრა სუბიექტურია და დამოკიდებულია ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. აქტივისთვის დამახასიათებელი მომავალი ეკონომიკური სარგებლიანობა ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. აქტივის ღირებულების შემცირება ხმარებისას სხვა ფაქტორებმაც შეიძლება გამოიწვიოს. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიანობის ვადას ახლანდელი ტექნიკური მდგომარეობის და აქტივებიდან სარგებლის მიღების სავარაუდო პერიოდის მიხედვით. შეფასებისას ხდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არის განპირობებული.

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სატრანსპორტო საშუალებები	ავიჯი	კომპიუტერული ტექნიკა	ელექტროძრავები და დიზელ- გენერატორები	სხვა ტექნიკა და ინვენტარი	სულ
საწყისი ღირებულება								
ბალანსი 01.01.2023	1,563,700	3,056,103	176,697	530,508	128,287	40,345	18,199	5,513,838
შემოსვლა	-	5,594,078	-	43,566	376,989	-	50,673	6,065,305
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2023	1,563,700	8,650,181	176,697	574,074	505,276	40,345	68,871	11,579,144
შემოსვლა	-	186,339	-	269	105,196	-	10,335	302,140
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2024	-	8,836,520	176,697	574,344	610,472	40,345	79,206	11,881,284
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება								
ბალანსი 01.01.2023	-	-	(109,057)	(32,358)	(39,303)	(27,638)	(8,540)	(216,896)
ცვეთა პერიოდისათვის	-	-	(10,146)	(104,680)	(50,554)	(2,541)	(10,290)	(178,211)
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2023	-	-	(119,203)	(137,038)	(89,858)	(30,179)	(18,830)	(395,107)
ცვეთა პერიოდისათვის	-	-	(8,624)	(84,224)	(95,996)	(2,033)	(10,737)	(201,615)
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2024	-	-	(127,827)	(221,262)	(185,854)	(32,212)	(29,568)	(596,722)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
ბალანსი 01.01.2023	1,563,700	3,056,103	67,640	498,150	88,983	12,708	9,658	5,296,942
ბალანსი 31.12.2023	1,563,700	8,650,181	57,494	437,037	415,418	10,166	50,041	11,184,036
ბალანსი 31.12.2024	1,563,700	8,836,520	48,870	353,082	424,618	8,133	49,639	11,284,561

6. გაცემული გრძელვადიანი სესხები

კომპანიის გაცემული სესხები შედგება შემდეგი სესხებისგან:

1. შპს ჯორჯიან სერვის გრუპი-2007-სა და შპს ჯორჯიან პროდაქტი-ს შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება 2021 წლის 05 ნოემბერს, რომლის მიხედვითაც დამტკიცებული სესხის სრული მოცულობა არის 598,633.89 აშშ დოლარი; სესხის წლიური საპროცენტო სარგებელი შეადგენს 6%-ს; სესხის თანხა დარიცხულ სარგებელთან ერთად უნდა დაიფაროს 2024 წლის 30 აგვისტომდე, გადახდის დღის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსის შესაბამისად.
2. შპს ჯორჯიან სერვის გრუპი-2007-სა და შპს გერმანულ-ქართული აგრარული საზოგადოება აკერი-ს შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება 2022 წლის 01 დეკემბერს, რომლის მიხედვითაც დამტკიცებული სესხის სრული მოცულობა არის 15,000 ლარი; სესხის წლიური საპროცენტო სარგებელი შეადგენს 15.6%-ს; სესხის თანხა დარიცხულ სარგებელთან ერთად უნდა დაიფაროს 2025 წლის 31 დეკემბრამდე.
3. შპს ჯორჯიან სერვის გრუპი-2007-სა და შპს საივესტიციო კომპანია მილარი-ს შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება 2024 წლის 19 თებერვალს, რომლის მიხედვითაც დამტკიცებული სესხის სრული მოცულობა არის 275,000 აშშ დოლარი; სესხის წლიური საპროცენტო სარგებელი შეადგენს 9.52%-ს; სესხის თანხა დარიცხულ სარგებელთან ერთად უნდა დაიფაროს 2029 წლის 1 მარტამდე, გადახდის დღის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსის შესაბამისად.
4. შპს ჯორჯიან სერვის გრუპი-2007-სა და შპს გერმანულ-ქართული აგრარული საზოგადოება აკერი-ს შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება 2024 წლის 15 მაისს, რომლის მიხედვითაც დამტკიცებული სესხის სრული მოცულობა არის 150,000 აშშ დოლარი; სესხის წლიური საპროცენტო სარგებელი შეადგენს 8.65%-ს; სესხის თანხა დარიცხულ სარგებელთან ერთად უნდა დაიფაროს 2026 წლის 15 მაისამდე, გადახდის დღის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსის შესაბამისად.
5. შპს ჯორჯიან სერვის გრუპი-2007-სა და შპს გერმანულ-ქართული აგრარული საზოგადოება აკერი-ს შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება 2024 წლის 27 ივნისს, რომლის მიხედვითაც დამტკიცებული სესხის სრული მოცულობა არის 50,000 აშშ დოლარი; სესხის წლიური საპროცენტო სარგებელი შეადგენს 8.65%-ს; სესხის თანხა დარიცხულ სარგებელთან ერთად უნდა დაიფაროს 2027 წლის 27 ივნისს, გადახდის დღის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსის შესაბამისად.
6. შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება 2024 წლის 20 ნოემბერს რომლის მიხედვითაც დამტკიცებული სესხის სრული მოცულობა არის 16,500 ევრო; სესხის წლიური საპროცენტო სარგებელი შეადგენს 9.51%-ს; სესხის თანხა დარიცხულ სარგებელთან ერთად უნდა დაიფაროს 2027 წლის 20 ნოემბერს, გადახდის დღის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსის შესაბამისად.

	დაფარვის ვადა	ვალუტა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი სესხები				
შპს საივესტიციო კომპანია მილარზე გაცემული 275,000 აშშ დოლარის სესხი	2029 წლის 1 მარტი	აშშ დოლარი	835,286	-
შპს გერმანულ-ქართული აგრარული საზოგადოება აკერზე გაცემული 150,000 აშშ დოლარის სესხი	2026 წლის 15 მაისი	აშშ დოლარი	440,075	-
შპს ჯორჯიან პროდაქტზე გაცემული 598,633.89 აშშ დოლარის სესხი	2024 წლის 30 აგვისტო	აშშ დოლარი	274,824	1,040,256
შპს გერმანულ-ქართული აგრარული საზოგადოება აკერზე გაცემული 50,000 აშშ დოლარის სესხი	2026 წლის 27 ივნისი	აშშ დოლარი	153,241	-
შპს გერმანულ-ქართული აგრარული საზოგადოება აკერზე გაცემული 16,500 ევროს სესხი	2027 წლის 20 ნოემბერი	ევრო	48,872	-
შპს გერმანულ-ქართული აგრარული საზოგადოება აკერზე გაცემული 15,000 ლარის სესხი	2025 წლის 31 დეკემბერი	ლარი	19,853	17,507
			1,772,150	1,057,763

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,314,247	1,379,059
სხვა სავაჭრო და დებიტორული დავალიანება	10,067	10,067
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,324,314	1,389,126

8. ფული და ფულადი ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ევრო საბანკო ანგარიშებზე	2,171,816	3,746
ლარები საბანკო ანგარიშებზე	58,709	108,509
აშშ დოლარი საბანკო ანგარიშებზე	2,339	1,563,472
ჯამურად ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	2,232,864	1,675,727
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	-
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	2,232,864	1,675,727

9. სესხები

შპს ჯორჯიან სერვის გრუპი-2007-სა და ს.ს. „პროგრედიტ ბანკი“-ს შორის გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება 2021 წლის 23 აპრილს, რომლის მიხედვითაც დამტკიცებული კრედიტის სრული მოცულობა არის 1,500,000 ევრო. კრედიტის ათვისება ხდება ნაწილ-ნაწილ ტრანშებად. სესხის წლიური საპროცენტო სარგებელი შეადგენს 4.5%-ს; კრედიტის ვადაა 120 თვე.

	დაფარვის ვადა	ვალუტა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი სესხები				
პროგრედიტ ბანკისგან მიღებული 1,500,000 ევროს სესხი	2031 წლის 23 აპრილი	ევრო	2,742,815	3,309,117
			2,742,815	3,309,117
მოკლევადიანი სესხები				
პროგრედიტ ბანკისგან მიღებული 1,500,000 ევროს სესხი	2031 წლის 23 აპრილი	ევრო	448,211	359,949
			448,211	359,949
			3,191,026	3,669,066

10. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან (ZOOPLUS AG)	16,327,257	14,426,097
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	16,327,257	14,426,097

*კომპანიის მომსახურებას ყიდულობს გერმანულ კომპანია ZOOPLUS AG, რომელთანაც კომპანიას მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 2019 წლის 01 სექტემბერს და დღემდე წარმატებით აგრძელებს თანამშრომლობას.

11. ადმინისტრაციული ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
შრომის ანაზღაურება	11,634,877	10,702,007
საპენსიო გადასახადის ხარჯი	206,181	188,108
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	201,614	178,212
კომუნიკაციის ხარჯები	135,511	211,099
საურავები და ჯარიმები	91,464	891
იჯარის ხარჯები	84,243	84,045
წარმომადგენლობითი ხარჯები	57,901	-
კომუნალური ხარჯები	37,299	45,094
მივლინების ხარჯები	29,563	13,015
საოფისე ხარჯები	7,449	6,592
ბანკის საკომისიო	4,367	3,949
სხვა საერთო ხარჯები	137,386	189,539
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	12,627,856	11,622,552

12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს; (გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიისა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2024	გაცემული გრძელვადიანი სესხები	მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები
შპს ჯგერჯიან პროდაქტს	274,824	3,439
შპს გერმანულ-ქართული აგრარული საზოგადოება აკერი	662,040	-
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან	936,864	3,439
ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2023	გაცემული გრძელვადიანი სესხები	მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები
შპს ჯგერჯიან პროდაქტს	1,040,256	3,121
შპს გერმანულ-ქართული აგრარული საზოგადოება აკერი	17,507	-
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან	1,057,763	3,121

12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2024	გაცემული გრძელვადიანი სესხები (დაფარვა)	გაცემული გრძელვადიანი სესხები	საპროცენტო შემოსავალი	ძირითადი საშუალებების შესყიდვა	გაცემული დივიდენდი	იჯარის ხარჯი
შპს ჯორჯიან პროდაქტს	848,514	-	37,012	-	-	-
შპს გერმანულ-ქართული	-	599,234	34,818	318	-	-
აგრარული საზოგადოება აკერი დამფუძნებელი	-	-	-	-	1,887,937	14,743
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	848,514	599,234	71,830	318	1,887,937	14,743

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2023	გაცემული გრძელვადიანი სესხები (დაფარვა)	გაცემული გრძელვადიანი სესხები	საპროცენტო შემოსავალი	ძირითადი საშუალებების შესყიდვა	გაცემული დივიდენდი	იჯარის ხარჯი
შპს ჯორჯიან პროდაქტს	767,430	-	88,408	-	-	-
შპს გერმანულ-ქართული	-	-	2,340	3,121	-	-
აგრარული საზოგადოება აკერი დამფუძნებელი	-	-	-	-	1,482,296	17,111
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	767,430	-	94,986	3,121	1,482,296	17,111

მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	2024 წელი	2023 წელი
მენეჯმენტი	28,789	28,768
სულ მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	28,789	28,768

13. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და
- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს გადასახდელი დივიდენდების თანხები, დააბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

14. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მმენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია.

კომპანიის მიმდინარე ოპერაციების გარდაუვალი საფრთხე არ არსებობს. კომპანიის მოგების შემცირება განაპირობა ლარის კურსის ვარდნამ. ასევე, არ არსებობს სალიკვიდაციო პროცედურების დაწყების ან კომპანიის საქმიანობის არსებითად შეზღუდვის განზრახვა.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი ანალიზი „საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები“ მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე.

ზემოხსენებული სტანდარტების მოთხოვნაა, რომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) ასახავდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არსებულ მდგომარეობას.

ასევე 2024 წლის 31 დეკემბრიდან 2025 წლის 29 სექტემბრამდე ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა, რომელიც არსებით ზეგავლენას მოახდენდა შპს ჯორჯიან სერვის გრუპი-2007-ის ფინანსურ ანგარიშგებაზე, მათ შორის რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი.

16. ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2025 წლის 29 სექტემბერს.



შპს ჯორჯიან სერვის გრუპი_2007

მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობითი ანგარიშგება

1. კომპანიის საქმიანობის განვითარება, წარმადობა და მდგომარეობა

შპს 'ჯორჯიან სერვის გრუპი - 2007' (ს/კ 205197464; შემდგომში კომპანია ან GSG) მეწარმე სუბიექტად დარეგისტრირდა 2007 წლის 14 მარტს თბილისის საგადასახადო ინსპექციის რეგიონალური ცენტრი ვაკე-საბურთალოს განყოფილების მიერ.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ყაზბეგის გამზ., N 29/2, ბინა 122, ხოლო ფაქტობრივი ადგილსამყოფელი/მისამართი: საქართველო, თბილისი, ო. ლორთქიფანიძის ქუჩა 35.

კომპანიის დამფუძნებელი-პარტნიორი და 100% წილის მფლობელია მერი ბარდაველიძე (პ/ნ: 01024009685), ხოლო დირექტორი ივანე ბერაძე (პ/ნ: 01006004628).

კომპანია 2007 წლიდან საქართველოში ოპერირებს ბიზნეს პროცესების აუტსორსინგის სექტორში და აღნიშნულ სეგმენტში წარმოადგენს პირველ და ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ და მულტიპროფილურ კომპანიას. ამ ეტაპზე GSG აერთიანებს 2 (ორი) წარმომადგენლობით ოფისს (ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში), 400-მდე ადგილობრივ დასაქმებულს და საერთაშორისო პარტნიორ კომპანიას ემსახურება სამი ძირითადი მიმართულებით: IT დეველოპმენტი, კლიენტის მომხმარებელთან ბაზის ადმინისტრირება და სპეციალიზებული ციფრული სერვისები. პარტნიორი კომპანია ევროპის მასშტაბით წარმოადგენილია როგორც მსხვილი e-commerce პლატფორმა, შესაბამისად, პარტნიორის ციფრული პროფილის გათვალისწინებით, კომპლექსური მიმართულებით სისტემის დისტანციური ადმინისტრირების მიზნით, 'ჯორჯიან სერვის გრუპი' დაკომპლექტებულია საჭირო კვალიფიკაციის მქონე სათანადო ადგილობრივი ადამიანური რესურსით.

კომპანიის ძირითადი საოპერაციო მიმართულებები მოიცავს პარტნიორი კომპანიისთვის აპლიკაციების დეველოპმენტს, მხარდაჭერასა და ადმინისტრირებას, IT ინფრასტრუქტურის დაგეგმვას, ინსტალაციასა და მართვას, დაცული კავშირებით დისტანციური სერვისების მიწოდებას, ღრუბლოვანი სერვისების მიწოდებასა და მართვას, ამასთანავე, პარტნიორი კომპანიის მონაცემთა ბაზის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ვიზუალური მასალის (ფოტო/ვიდეო), ტექსტებისა და საინფორმაციო მასალის მიწოდებას, პროფილის შესაბამისად, პროდუქციის მონაცემთა ბაზის მართვას პროდუქტის შექმნისა და ცვლილებების შეტანის სახით, ლოჯისტიკური ბაზის უზრუნველყოფის მიზნით საწყობის პროდუქციის მარაგისა და გადამზიდი კომპანიების მონაცემების ბაზის მართვას, კლიენტთა ბაზის და სრული საოპერაციო პროცესის დისტანციურ ადმინისტრირებას.

კომპანიამ წარმატებით შეძლო COVID-19 პანდემიით გამოწვეულ საწყის პრობლემებთან გამკლავება. კომპანიამ დაუყოვნებლივ შეიმუშავა COVID-19-ის საპასუხო სრულყოფილი სამოქმედო გეგმა და სრულად უზრუნველყო სერვისის უწყვეტობა.

კომპანიის საქმიანობა ასევე სრულ შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსთან, შრომის უსაფრთხოების და სხვა მავალდებულებელ კანონმდებლობასთან.

2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანია სრულად ორიენტირებულია ეკონომიკური საქმიანობის გაზრდაზე ახალი საერთაშორისო პარტნიორების მოძიებისა და პორტფოლიოს განვითარების მიზნით. ბიზნეს პროცესების აუტსორსინგის სექტორში ოპერირების პროფაილიდან გამომდინარე, კომპანიის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ევროპის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) და ევროპის 2016/679 რეგულაციის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში ყოფნა. აღნიშნულის გასამტკიცებლად კომპანია მუდმივად ახორციელებს რიგ ღონისძიებებს, რაც მოიცავს შიდა რეგულაციების დაცვას პერსონალურ მონაცემთა და ინფორმაციული უსაფრთხოების სრულყოფის მიმართულებით.

3. თაღლითობა

ზოგადად კონტროლის გარეშე კომპანიაში, პროცესები და პროცედურები შექმნილია თაღლითობის შემთხვევების თავიდან ასაცილებლად. საანგარიშგებო პერიოდში არ დაფიქსირებულა კონტროლის პროცედურების მნიშვნელოვანი დარღვევა.

2025 წლის 29 სექტემბრის მდგომარეობით კომპანიის სამომავლო განვითარების პუნქტში მითითებული ღონისძიებები უმეტესწილად შესრულებულია და კომპანია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ხარისხის მიმართულებით ერთერთი მოწინავე კომპანიაა საქართველოში.

მმართველობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2025 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ივანე ბერაძე

29 სექტემბერი 2025 წ.

მთავარი ბუღალტერი

თამაზ სხირტლაძე

29 სექტემბერი, 2025 წ.

